საბა

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან

ალოდინეს და ... მეთხუთმეტე კაცად შევიდა,

ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება,

ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე,

ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა,-

მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.

ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა;

ოჰ, ოჰ ... ოჰ ...ოჰო- თქვა და თითქოს კიდეც ინანა,

მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა

(საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას);

რაც შეიტანა,- ისევ ის გამოიტანა

იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.

- წვიმა არ არის!-

საბას კაბა დაუსველა რამ?!

- თოვლი არ არის!-

საბას თავი გაუთეთრა რამ ?!

- ყინვა არ არის!- სულხან – საბას აკანკალებს

- რამ დაასველა?!

-რამ დაათეთრა?!

-რა აკანკალებს?!-

საქართველოა მისთვის:წვიმაც, თოვლიც, და ყინვაც!

... მზე ეთხოვება ალბათ, ახლა ტურფა ტანძიას...

ეს სიცხადეა, სულხან – საბავ, თუ ფანტაზია?!

დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს,-

ალვის ჩეროში სტირის დედა შვილს მოტაცებულს,-

სტამბოლში შვილი დედას სტირის,- ჰყიდიან ყმაწვილს

(სჭვრეტენ ჯვარის წინ წმინდა, ნინოს, მუხლზე დაცემულს),

რამდენს აფასებ მაგ პატარას?-ჰკითხა სპარსულად

საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.

უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა!-

წარმოსთქვა ბალღმა,- ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.
არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?!

უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?

საბას ცრემლები მოეძალა,- ატირდა კაცი,-

თავის ბალღობა გაახსენდა, თავის ტანძია.

ვით ეს ყმაწვილი,- საქართველოც,- ასე მცირეა,

საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს ასე ჰყიდიან...

საფრანგეთს ვთხოვოთ, გვიშველისო,- სასაცილოა!..

შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰჯიდია

ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი.

მხარდამხარ საბას ის პაწია ბიჭი მოსდევდა...

მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო ყიალი?!

გულს ნუ გაიტეხ!- მუხა კვლავაც შეიმოსება!